6297/4-2/21 2 23062021

6297/4-2/21
23-06-2021

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარეს,

ბატონ დავით ფუტკარაძეს

ბატონო დავით,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

ა) 2015-2021 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე რა რაოდენობის სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება დამოწმდა სანოტარო წესით (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში)? გთხოვთ, აღნიშნული მონაცემი მოგვაწოდოთ ყოველი წლისთვის ცალ-ცალკე;

ბ) 2015-2021 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე რა რაოდენობის სამისდღეშიო რჩენის სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება შეწყდა (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში)? გთხოვთ, აღნიშნული მონაცემი მოგვაწოდოთ ყოველი წლისთვის ცალ-ცალკე.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge

KA010155847955321

№9123

08 / ივლისი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

თქვენი 2021 წლის 23 ივნისის № 6297/4-2/21 მომართვის პასუხად, რომლითაც ითხოვთ სტატისტიკურ ინფორმაციას საქართველოს ტერიტორიაზე სანოტარო წესით დამოწმებული სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებების თაობაზე, გაწვდით 2015-2021 წლების მონაცემებს:

2015-2021 წლებში სანოტარო წესით დამოწმებული სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებები:

– 2015 წელი – 161 ხელშეკრულება;

– 2016 წელი – 212 ხელშეკრულება;

– 2017 წელი – 218 ხელშეკრულება;

– 2018 წელი – 178 ხელშეკრულება;

– 2019 წელი – 202 ხელშეკრულება;

– 2020 წელი – 178 ხელშეკრულება;

– 2021 წლის პირველი იანვრიდან 24 ივნისამდე – 77 ხელშეკრულება;

2015-2021 წლებში სანოტარო წესით გაუქმებული სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებები:

– 2015 წელი – 30 ხელშეკრულება;

– 2016 წელი – 26 ხელშეკრულება;

– 2017 წელი – 32 ხელშეკრულება;

– 2018 წელი – 32 ხელშეკრულება;

– 2019 წელი – 26 ხელშეკრულება;

– 2020 წელი – 27 ხელშეკრულება;

– 2021 წლის პირველი იანვრიდან 24 ივნისამდე – 13 ხელშეკრულება.

პატივისცემით,

მინისტრი	ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად	რატი ბრეგაძე